სილქნეტი

სააბონენტო ხელშეკრულება
მობილური მომსახურებ(ებ)ის მიწოდების შესახებ
Subscriber Agreement On the provision of mobile services

თარიღი/Date		აქცია/პაკეტი/Package	
სააბ. ნომერი/Subs. Number			
სახელი, გვარი/Name, Surname			
დაბადების თარიღი/Date of birth		პ/ნ ID No.	
კომპანია/Company	სს სილქნეტი/JSC SILKNET	საიდენტიფიკაციო N/ID No.	204566978
მისამართი/Address	თბილისი, წინამძღვრიშვილის N95, 0112/ 95, Tsinamdzgvrishvili Str., Tbilisi, 0112		
ელ. ფოსტა/e-mail	contacts@silknet.com	ცხელი ხაზი/Hotline	(995 32) 2 110 110

პიროვნების მოწმობის ასლი/Scan ID Here

მხარეთა ხელმოწერები/Signatures:

აბონენტი/Subscriber	კომპანიის წარმომადგენელი/Company Rep.	დისტრიბუტორი/დილერი/Distributor/Dealer

1. მობილური მომსახურებ(ებ)ის მიწოდება ხორციელდება „მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებ(ებ)ის მიწოდების შესახებ სააბონენტო ხელშეკრულების“ (შემდგომში „სააბონენტო ხელშეკრულება“ ან „ხელშეკრულება“) საფუძველზე; წინამდებარე თავფურცელი (შემდგომში „თავფურცელი“) წარმოადგენს „სააბონენტო ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთობლივად.
2. აბონენტი წინამდებარე „თავფურცელზე“ ხელმოწერით ადასტურებს, რომ:
2.1. ხელმოწერამდე შესაძლებლობა ჰქონდა სრულყოფილად გაცნობოდა „სააბონენტო ხელშეკრულებას“, მათ შორის “კონფიდენციალურობის/პერსონალური მონაცემების დაცვის განაცხადს“ რომელიც ხელმისაწვდომია როგორც „კომპანიის“ ვებგვერდზე (www.silknet.com), აგრეთვე “კომპანიის” სერვისცენტრში/ სადილერო ქსელის სუბიექტთან - ბეჭდური ფორმით, სრულად გაეცნო და ეთანხმება მათ;
2.2. თანახმაა „სააბონენტო ხელშეკრულება“ მიიღოს ელექტრონულად, ამ „ხელშეკრულების“ საფუძველზე მასზე გაცემულ სააბონენტო ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილ ვებ-ბმულზე შესვლის გზით;
2.3. ინფორმირებულია, რომ შესაძლებლობა აქვს „სააბონენტო ხელშეკრულება“ ჩამოტვირთოს „კომპანიის“ ვებ-გვერდიდან (www.silknet.com) და უფლებამოსილია მოითხოვოს და მოთხოვნის შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს „სააბონენტო ხელშეკრულების“ ნაბეჭდი ფორმით მისთვის გადაცემა.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ:
3.1. ანგარიშწორება ხორციელდება წინასწარი გადახდის სისტემით;
3.2. სტანდარტული ადგილობრივი ტარიფები მოცემულია „სააბონენტო ხელშეკრულებაში“
(გამავალი სატელეფონო ზარი– წუთი 0.24 ლარი, ზარის წამოწყება - 0.12 ლარი, SMS - 0.06 ლარი (ყველა ადგილობრივი ქსელის მიმართულებით); 1მბ ინტერნეტი - 0.70 ლარი);
3.3. სხვა სატარიფო გეგმები/მომსახურების პაკეტები, საერთაშორისო ზარების ტარიფები, როუმინგული მომსახურებების, დამატებითი სერვისების/პროდუქტების ტარიფები და მათი პირობები, ასევე, აქციის ფარგლებში მოქმედი ტარიფები და პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმისაწვდომია “კომპანიის” ვებ-გვერდზე (www.silknet.com), გაყიდვის ქსელებში/სისტემებში და „აბონენტი“ უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ გაიაქტიუროს/შეიძინოს სატარიფო გეგმები/პაკეტები/დამატებითი სერვისები (მათ შორის, ამ „ხელშეკრულების“ გაფორმებისას), „კომპანიის“ მიერ განსაზღვრული შესაბამისი წესით/მეთოდებით;
3.4. „აბონენტის“ მიერ ნების გამოვლენა (ა) „სააბონენტო“ ნომრიდან, ონლიაინ აპლიკაციდან, მომსახურების ვებ-პორტალიდან, ელ-ფოსტიდან (მათ შორის, USSD კოდის აკრეფის, ცხელ ხაზზე დარეკვის, „პერსონალური კოდის“/„ერთჯერადი კოდის“/ „პინ კოდის“ გამოყენების, ელ. შეტყობინების/სმს შეტყობინების გაგზავნის ან შესაბამის ღილაკზე (შეკვეთა/დათანხმება/დადასტურება/გადახდა) დაჭერის გზით), ასევე, (ბ) „აბონენტის“ ნების დისტანციურად გამოვლენის მიზნით „კომპანიის“ მიერ შემუშავებული სხვა მსგავსი და სანდო სისტემების/მექანიზმების გამოყენებით და/ან (გ) „კომპანიის“ მიერ შემუშავებული არაკვალიფიციური ან განვითარებული ელექტრონული ხელმოწერით, რომელიც უთანაბრდება მატერიალურ დოკუმენტზე პირად ხელმოწერას და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა;
3.5. სატარიფო გეგმებში, მომსახურების პაკეტებში, საერთაშორისო ზარების ტარიფებში, როუმინგული და დამატებითი სერვისების ტარიფებსა და მათ პირობებში შეტანილი ცვლილებები, ასევე „სააბონენტო ხელშეკრულებაში“ , მათ შორის, “კონფიდენციალურობის/პერსონალური მონაცემების დაცვის განაცხადში“ შეტანილი ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნდება „კომპანიის“ ვებ-გვერდზე
(www.silknet.com), ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის მითითებით და ბოლოს შეტანილ ცვლილებებს ექნება უპირატესი ძალა.
4. წინამდებარე „თავფურცელზე“ ხელმოწერით, „აბონენტი“:
4.1. ადასტურებს, რომ თანახმაა „კომპანიასთან“ „სააბონენტო ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით, დისტრიბუტორმა/აგენტმა (მონაცემთა დამუშავებაზე „კომპანიის“ უფლებამოსილი პირი) მოაგროვოს/დაამუშაოს ამ „თავფურცელში“ მოცემული “აბონენტის” პერსონალური მონაცემები, მათ შორის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
4.2. ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები სრულყოფილია, სწორი და ნამდვილია;
4.3. თანხმობას აძლევს „კომპანიას“, განახორციელოს მისი („აბონენტის“) პერსონალური მონაცემების დამუშავება საკუთარი („კომპანიის“) პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის და მესამე პირთა სასარგებლოდ, მათ შორის მესამე პირებზე გასცეს „აბონენტის“ პერსონალური მონაცემები, მესამე პირების მიერ პირდაპირი მარკეტინგის უზრუნველყოფის მიზნით;
4.4. ადასტურებს, რომ ინფორმირებულია „კომპანიის“ ან/და მესამე პირების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმის უფლების შესახებ და რომ უფლებამოსილია „ხელშეკრულების“ ხელმოწერამდე ან/და „სააბონენტო ხელშეკრულების“ ძალაში შესვლიდან ნებისმიერ დროს განაცხადოს ამგვარი უარის შესახებ წერილობით/ელექტრონულად და/ან ქოლ-ცენტრში დარეკვის გზით;
4.5 ადასტურებს, რომ ინფორმირებულია „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პირობების შესახებ, მათ შორის, მისი უფლების შესახებ „ხელშეკრულების“ დადებიდან 14 დღის ვადაში უარი თქვას „ხელშეკრულებაზე“ ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, რომლის დეტალური პირობები მოცემულია „სააბონენტო ხელშეკრულებაში“;
4.6. თანახმაა, „კომპანიამ“ მომსახურების მიწოდება დაიწყოს 14 დღიანი ვადის გასვლამდე და ადასტურებს, რომ ამ პირობით იგი კარგავს უკვე გაწეული მომსახურების, მათ შორის, შეძენილი ერთჯერადი მომსახურების პაკეტში გადახდილი თანხის ანაზღაურების უფლებას.
5. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ წინამდებარე „თავფურცელის“ ხელმოწერიდან. წინამდებარე „თავფურცელი“ შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, საიდანაც ერთი გადაეცემა „აბონენტს“.